ევროკავშირის 7 ქვეყანა გაეროს მანდატის გარეშე სირიაში სამხედრო ინტერვენციას უჭერს მხარს ოთხშაბათი, 04 სექტემბერი 2013 20:31

საფრანგეთის გარდა გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე სირიაში სამხედრო ჩარებვას ევროკავშირის ექვსი ქვეყანა უჭერს მხარს. ამის შესახებ ბრიუსელში დიპლომატიურმა წყარომ განაცხადა. ამ ქვეყნებს შორის დანია, ხორვატია, რუმინეთი, საბერძნეთი, ლატვია და კვიპროსია.
ევროკავშირი ზოგი დასავლური ქვეყნის სირიაში შესაძლო სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით ახლო დღეებში უნდა განაცხადოს. 6-7 სექტემბერს ვილნიუსში ევროკავშირში შემავალი 28 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთა არაოფიციალური შეკრება ჩატარდება.

1 / 1